MES 1 16 01473703

09/12/2016

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ბატონ გიორგი ხორბალაძეს

ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახურის
უფროსის გიორგი ტეტუნაშვილის

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, უნივერსიტეტში მიმდინარე სამუშაო პროცესების შეუფერხებლად ფუნქციონირებისათვის A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის ქაღალდის შესყიდვის თაობაზე გადაუდებელი აუცილებლობის დადგომის გამო, 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით თანხმობის მისაღებად, უნივერსიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით სპეციალური მოდულის (SMP) გამოყენებით 3 დეკემბერს წარადგინა განაცხადი SMP160003140, რომელიც სააგენტოს მიერ მიღებული განკარგულების #3399 07.12.2016 შესაბამისად, დაკმაყოფილებული იქნა. აღნიშნული #3399 განკარგულების შესაბამისად, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით''. აღნიშნულის გათვალისწინებით პოტენციური მიმწოდებლის გამოვლენის მიზნით, სამსახურის მიერ ჩატარებული იქნა ბაზრის კვლევა.

უმაღლესი ხარისხის A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვაზე გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში (CON160000053) ქაღალდის შესასყიდ სავარაუდო ფასად მითითებული იყო - ერთი შეკვრა - 6.70 ლარი, ხოლო ტენდერში მონაწილე ორი პრეტენდენტიდან /ი.მ. ,,გიორგი კანდელაკი - ვესტა"; შპს ,,პაპირუსპრინტი''/ ვაჭრობის რაუნდების ჩატარების შემდგომ ყველაზე დაბალი ფასი დააფიქირა შპს ,,პაპირუსიპრინტი''-მ - ერთი შეკვრა - 6.38 ლარი.

ბაზრის კვლევის შედეგების შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ მიმდინარე კონსოლიდირებულ CON160000053 ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ინვოისების საფუძველზე ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებს გარეთ, უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესასყიდი ფასი ტენდერში დაფიქსირებულ ფასთან შედარებით იქნება უფრო მეტი - ერთი შეკვრა - 6.70 ლარი, რადგან უნივერსიტეტის მიერ შესაყიდია ბევრად ცოტა რაოდენობის ქაღალდი (300 შეკვრა), ვიდრე კონსოლიდირებული ტენდერით შესასყიდი რაოდენობაა (150000 შეკვრა), რაც მოქმედებს ერთეულის ფასზე.

შესაბამისად, 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი"-ს მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრინციპების დაცვა *(რომ ,,დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება აღემატებოდეს სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ერთეულის ფასს'')* ვერ ხორციელდება ობიექტური გარემოებით - *შესასყიდი ქაღალდის სიმცირით.*

გამომდინარე იქიდან, რომ არ მოიძებნება უფრო დაბალ ფასად სხვა ალტერნატიული მიმწოდებელი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა განვახორციელოთ ი/მ ,,გიორგი კანდელაკი - ვესტა"-სგან.

მომზადებულია ხელშკრულების პროექტი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ი/მ ,,გიორგი კანდელაკი - ვესტა"-სგან A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვის თაობაზე.

*პატივისცემით,*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი / ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახური
შესყიდვებისა და ბიუჯეტირების სამსახურის უფროსი
გიორგი ტეტუნაშვილი